№ 84 29 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1877 29 თიბათვე, ოთხშაბათი № 84

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გააზწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რადგან დღეს, 29-ს, პეტრე-პავლეს დღესასწაულია, ამის გამო ხვალ გაზეთი ვერ გამოვა.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

პირველი ივლისიდამ ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდინ.

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты Дроэба.*“

ტელეგრამები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდამ

ოზურგეთი, 27 ივნისს. ბუშინ შეკვეთილთან (ნიკოლაევსკთან) ოსმალოს ხომალდებმა სროლა შეჰქმეს ზღვიდამ და ამ დროს იმათი ჯარი ხომალდებიდამ შეკვეთილში გამოვიდა ხმელეთზე; მაგრამ მიუახლოვდა თუ არა ჩვენი ჯარი, ისევ ნავებში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ამ დროსვე მტერმა გაცხარებული ზარბაზნის სროლა დაუწყო მუხა-მსტატეში დაბანაკებულ რუსის ჯარსა. ჩვენის მხრით 1 კაცი მოკლულია და 2 დაჭრილი.

ოქუმი, 26 ივნისს. ღენერალი ალსაზოვი აფხაზეთიდამ იწერება, რომ დიდ-ძალი ჯარი აფხაზებისა მდ. ბალიზგის სათავესაკენ მიდიოდაო, საიდამაც ჩვენი ჯარის მეორე მხრით შემოვლა უნდოდათო, მაგრამ ჩვენ შევიტყვეთ და დიდის ზიანით გავდევნეთ მტერი ბალიზგის იქითაო. ჩვენის მხრით მოკლულია 2 სალდათი, დაჭრილი არიან: პოლკოვნ. ბოლიახოვსკი (მძიმედ), პარუჩ. ბარონი ალეისტი და 20 სალდათი.

ს.-პეტერბურღი, 27 ივნისს. (დუნაიდამ). ბუშინ ღენერალმა ბურკომ ბძოლის შემდეგ აიღო ქალაქი ტირნოვო; აქ დაყენებული ოსმალოს ჯარი 4,000 კაცამდინ ოსმან-ბაზრისაკენ წავიდნენ. მოლევნა გადაიხადეს ხელმწიფის სადღეგრძელოდ. მცხოვრებლები ჩვენ ჯარს ტირნოვოში აღტაცებით მიეგებნენ. აქეთკენ ახალი ჯარი მოდის.

ბრუქსელი, 27 ივნისს. პოლკოვნიკებმა ბატიანოვმა და თ. ნაკაშიძემ 24 ივნისს განდევნა აჯანყებული მთიულები ისაიურთიდამ და ალექსანდრეკენდუკიდამ, სადაც ესენი გამაგრებული იყვნენ. მტერს დიდი ზიანი მიეცა. ჩვენის მხრით მოკლულია 2, დაჭრილი 14.

მთელს დაღესტანში და აგრეთვე თერგის მხარეში სრული მშვიდობიანობაა. მხოლოთ ალი-ბეკა ჰყავს რამდენიმე კაცი, რომელნიც იჭყერის ტყეში იმალებიან; ამათ დასამორჩილებელად ჯეროვანი ღონის-ძიება არის მიღებული.

სოფ. ასახოს (დიდო-ლეკებში) ალების დროს ჩვენის მხრით მოკლულია 6 კაცი, დაჭრილი არიან: 3 აფიცერი და 21 კაცი.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ ზივინთან დაბანაკებული ოსმალოს ჯარი წინ აპირებს წასვლას ყარსისაკენაო. იმ განზრახვით, რომ ეს ციხე-ქალაქი ვაანთავისუფლონ რუსების ჯარისაგან, რომელიც ეს ერთი თვეა იმას გარს არტყია.

ღენ.-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი, როგორც დეპეშამ გვაცნობა, ამ ჟამად თავის მთავარი ჯარით ისევ ყარსთან დაბრუნდა იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ამ თვის 13-ს ჰქონდა იმას ზევინის მახლობლად იზმაილ-ფაშის 23 ოსმალოს ბატალიონთან. თვითონ ლორის-მელიქოვი კი ყარსთან დაბრუნდა, მაგრამ საღანლუღის მთებში დასტოვა იმან ჯარი იმ განზრახვით, რომ ამათ ყარსის მოსაშველებელად არზრუმიდამ მომავალ მუხთარ-ფაშას არმიას შეუკრას გზა.

„მოსკოვის უწყებებში“ (№ 154) დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 21 ამ თვისას მიუღია სტამბოლიდამ:

„ოსმალეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა აცნობა ოსმალოს ელჩებს, რომ ვითომც ალაშქერთიდამ დაბრუნებულმა რუსის ჯარმა გზაზე სხვა-და-სხვა ბარბაროსობა ჩაიდინა. ამბობენ, რომ რაც ამ ჯარს გზაზე მაჰმადიანისა და ქრისტიანებისაც სოფლები დხვდა, ყველა გადასწვა და მცხოვრებლები გაცარცვა.“

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული ტელეგრამა, რომ 17 ივნისს ჩვენ კიდევ დავამარცხეთ რუსის ჯარიო; ამ შეტაკების დროს ოსმალოს ჯარის უფროსებად იყვნენო ოსმან-ფაშა და ჯემილ-ფაშა. ჩვენ დავიჭირეთ სამება და რუსის ჯარმა კი უკან დაიწია მუხა-მსტატემდინაო.

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ 17 ივნისს მუხთარ-ფაშა თავის ჯარით ამ ჟამად დელი-ბაბაში იმყოფებაო და მეჰმედ-ფაშა (შთამომავლობით პრუსიელი) ძეფრი-ძევში არის გამაგრებულიო. რუსებს კი ხორასნის ახლო მახლო ადგილები უჭირავთო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

გაზეთის „Голосъ“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი, 30 ივნისს ბუხარესტიდამ მიღებული, დეპეშა:

„ბუშინ მთელი დღე რუსჩუკს ყუმბარებს ეუშენდით. ქალაქი სამის მხრით

იწვის. დღეს ამ ქალაქს კიდევ სამი ახალი ბატარეებით უნდა დაუწყონ ზარბაზნების სროლა.

„ჩვენი ჯარი დაუბრკოლებლივ გადადის დუნაიზე ზიმნიცსა და სისტოვოს შუა გადებულს ხიდით.

„ნიკოპოლსა და რუსჩუკს შუა ამ ჟამად 50,000 რუსის ჯარია. ამ ჯარის ჯანმთელობა კარგს მდგომარეობაშია, როგორც ბოლგარიაში აგრეთვე რუმინიაში.“

—

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში იწერებიან ვენიდამ 16 (28) ივნისს, რომ რამდენიმე საათის წინათ, სანამ რუსები ბირსოვოს დაიჭერდნენ, ოსმალოს ჯარმა უკან დაიწია ასე, რომ აქ ერთი თოფიც არ გავარდნილა. წინა დღეს ოლტენიცასა და ტურტუკაის შუა გაცხარებული ზარბაზნის სროლა იყო.

მართალია, ამბობს ისევ გაზეთი, რომ რუსების ყუმბარებმა თითქმის სულ დაანგრიეს ჟურჟევოდამ რუსჩუკი; მაგრამ ნაკლები ზიანი არც თვითონ ჟურჟევოს მისცემია რუსჩუკის ბატარეებისაგან. ზოგიერთი უბნები ამ ქალაქისა სულ დაანგრია ყუმბარებმა, ზოგიც გადასწვა.

ამას წინათ რუსეთის ხელმწიფე ჟურჟევოს საავათმყოფოში იყო, დაჭრილ მეომრების დასახედავად. საიდამაც იყო, ოსმალოებმა შეიტყეს ეს ამბავი და იმ წამსვე გაცხარებული სროლა შეჰქმნეს რუსჩუკიდამ; პირ-და-პირ იმ საავათმყოფოს უმიზნებდნენ ყუმბარებს, სადაც იმ ჟამად ხელმწიფე იმყოფებოდა ავათმყოფების დასახედავად. მაგრამ ამ შენობას არცერთი ყუმბარა არ მოხვედრია.

—

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია დეპეშა 20 ივნისს ოდესიდამ მიღებული:

„შვიდმა ოსმალოს ხომალდმა დაუშინა ყუმბარები რუმინიის სოფელს ჭებრიენის რომლებშიაც რუსები სახლობდნენ და თითქმის სრულიად გადასწვეს და დაანგრიეს სოფელი.

„ბუშინ, 19 ივნისს, ოსმალოს ათი ჯავშნიანი ხომალდი გამოჩნდა შავ ზღვაში ოდესის პირ-და-პირ, ათის ვერსის სიშორეზე, და დილის 10 საათამდინ იყვნენ აქ გაჩერებულნი. შემდეგ აქედამ სევასტოპოლისაკენ ვაემგზავრნენ.“

საქართველო

დღიური

*** ქალაქის მცხოვრებლებისაგან ხშირად მოგვდის საჩივარი ხორაგეულის სიძვირეზედ. ბამოცხადებულს მაზანდას (ტაქსას) ჩვენი ვაჭრები სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, როგორც ნებავთ, როგორც ჰსურთ, ისე ჰყიდიანო. სხვათა შორის, მაზანდაში დაბეჭდილია, რომ ფუთი პური ექვს აბაზად ღირსო; მაგრამ ამ ფქვილს ბაზარში რვა აბაზათ და ხან, თუ ხამი მუშტარი ჩაიგდეს ხელში, ცხრათაც ჰყიდიანო.

ჩვენს ქალაქში საზოგადოთ ყველასაგან ისმის, რომ ბაზარი სრულებით უყურადღებოთ არის დაგდებულიო და ვისაც როგორ ჰსურს, ისე ვაჭრობსო. ეს საჩივარი რამდენჯერმე იყო სტამბაში გამოცხადებული და დროა, რომ ახლანდელმა ქალაქის ბამგეობამ ამ საზოგადო საჩივარს ყურადღება მიაქციოს.

*** რადგან, ერთის მხრით, სოფლებში ყველგან გაცხარებული მუშაობაა და, მეორეს მხრით, ქალაქშიაც ბევრი მუშაობაა (უფრო შენობებისა და სხვ.), ამის გამო მუშის ფასი ქალაქში გაძვირდა. უბრალო მუშა დღეში სამ-ოთხ აბაზ ნაკლებ არ იშოვება. ურიგო არ იქნება, ეს ამბავი ჩვენმა სოფლის ხალხმა შეიტყოს და ვისაც სოფლებში საქმე არ მოეძევა, ჩამოვიდნენ ქალაქში,—დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უსაქმოდ არ დარჩებიან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 29-ს ქუთაისის ბულვარში იქნება ამნაირივე „სახალხო სეირნობა“, როგორიც ამას წინათ ჩვენს ქალაქში იყო „ფითელი ჯვრის საზოგადოების“ სასარგებლოდ. სხვათა შორის, ამ სეირნობის დროს ბულვარში გამოფენილი იქნება ახლანდელ ომში მოკლულთ სურათები: თ. ილ. ჩოლაყაშვილისა, თ. ს. მიქელაძისა და პორუჩიკის ბრამატინისა. შემოსული ფული ომში დაჭრილთ და ავათმყოფ მეომრების სასარგებლოვ არის დანიშნული.

*** ძალიან ბევრი ხალხი გაემგზავრა წელს სხვა-და-სხვა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში. ამის მიზეზი იმ არის, რომ ბორჯომსა და აბასტუმანს წასელა ხალხს შეშინებია, ომიანობის გამო.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. ჩუმლაყიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ის შკოლა, რომელიც ას ნახევარი წლის წინათ გახსნა აქ მღვდელმა სოლ. იმერლიშვილმა, ამ ჟამად თითქმის დაცარიელდაო, რადგან ყმაწვილები გლეხებმა შინ წაიყვანესო, ამბობენო, რომ სოფლის მუშაობაში გვეჭირვებაო. ამ შკოლის თაობაზედვე გვწერენ, რომ საზოგადოთ ყმაწვილების სწავლა აქ ძალიან კარგათ ზიდისო და იმედიაო, რომ სექტემბერში ისევ დაიწყებენ შაგირდები შკოლაში სიარულსაო.

*** სომხურ გაზეთს „მეღუ აიასტანში“ ბანჯიდამ იწერებიან, რომ აქეთკენ საშინელი ქურდობა გარნდაო, სანამ რომ დღე არ გაიელის, ერთი-ანი ჯერ. შემთხვევა მაინც არ მოხდესო. თათრები არიან თურმე ეს ქურდები.

ბანჯიდამვე მოვიდა ამბავი, რომ ამას წინათ იქეთკენ საშინელი სეტყვა იყოო და ბევრი ზიანი მისცა სოფლელებსაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 21 თებერვ. (სამღვდელოების კრება სოფ. ვაქირს).

ს. ვაქირის ბლაღოჩინმა ხატიევმა მისწერა ამას წინათ თავის საბლაღოჩინო სამღვდელოებას, რომ იგინი უეჭველათ შეკრებულიყვნენ მასთან მოსალაპარაკებლათ შესახებ თელავის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მოთხოვნილებისა, და რასაკვირველია, ბრძანებისამებრ, შეიკრიბნენ კიდეც დილით ექვს საათზედ.

ბლაღოჩინმა მიიწვია შეკრებულნი სამღვდელონი სახლში სოფლის სასწავლებლის და გახსნა სხდომა.

როგორც ეტყობოდათ სამღვდელონი ძალიან იყვნენ აღელვებულნი; უნდოდათ, რომ იმავ მინუტში გაეგოთ—თუ რას ითხოვდა მოხსენებული სასწავლებლის გამგეობა ამათგან; მაგრამ საქმე შეგვიანდა. ბლაღოჩინმა პირველათ დაიწყო ლაპარაკი სრულებით სხვა საგანზედ, ე. ი. ეხლანდელ ომიანობაზედ და რუსეთის ჯარის გამარჯვებაზედ და შემდეგ მოუბრუნდა ნამდვილ საგანს და დაიწყო ლაპარაკი ამ სახით:

„პატიოსანნო სამღვდელონო! ჩვენ დღეს შეკრებილვართ აქ მისთვის, რომ ერთი რამ ჰაზრი დავდოთ თელავის პრავლენიის მოთხოვნილებაებზედ. მაგრამ ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სასწავლებელი ძალიან საქმეს გვიჭირებს, ასე რომ, ჩემის ფიქრით, ყოველნი ჩვენგანნი იძულებულ უნდა იყვნენ შეიქნენ საუკუნოდ ფოჩტის ფულის მძღეველნი სასწავლებლისა; მეკი აღარ შემიძლიან ამთენი ხარჯის ძღევა და ახლა თქვენ იცით!“

რასაკვირველია, სამღვდელოთაც თავიანთ მხრივ დიდის სიმხიარულით ხმის ერთათ შესძახეს: „არ შეგვიძლიან, არა!!“

რა გათავდა ყვირილი, ერთმა დეპუტატთაგანმა, რომელიც ყოფილიყო ამავე სასწავლებელში გაგზავნილი შესახებ ამ საქმისა, ბლაღოჩინის ბძანებით ამოიღო ერთი ნაოთხადი თაბახისა და დაიწყო კითხვა:

„სამღვდელონო! თელავის პრავლენია

გვთხოვს ჩვენ, 1) სახლების გამშვენების, 2) ახლის სახლის გაკეთებას, 3) მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს, რომელსაც უნდა ჯამაგირი არა ნაკლებ პირველისა, 4) საავათმყოფოს გაკეთებას და სხ. ასე, რომ სრულებით ჯამი ფულისა შესდგება 6,000 მანეთამდინ!“

ნეტავი ამ დროს აქ დასწრებოდით და გენახათ ეს სცენა! მოსწყდეს თქვენს და ჩემს დამაწყევარსაც წელი, როგორც ამის გაგონებაზედ ამათ მოსწყდათ წელი! მაგრამ რას იქმოდნენ? სასწავლებელი ახლო არა ჰქონდათ, რომ დაენგრიენათ და მის ზედამხედველი უპატიოთ გაეხადნათ! მხოლოთ ამათ ნუგეშოთ, ამ დროს დარჩა ერთი სიტყვა, მოგონებული ამ ჟამად თავიანთ გამჭრიახი გონებიდგანა: „არ შეგვიძლიან, არა, არა!“ და ამ სახით შეიქმნა ერთი უბრალო ყვირილი და ვაი-ვაგლახი ასე, რომ იქნება ამისთანა ვაი-ვაგლახი და ყვირილი არტაანის ციხის აღების დროსაც არა ყოფილიყოს! უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროს იყო ყვირილის გარდა უწესო ლაპარაკიც როგორც ზედამხედველის უსამართლოებაზედ, ისე სასწავლებლის უწესოებაებზედ; მაგრამ საჭიროთ არა ვრაცხ მოვიხსენიო ეს გაზეთში.

შემდეგ ამისა შეიქმნა რაღაც სიჩუმე, რომლითაც ერთმა მღვდელმა ისარგებლა: უეცრივ, თოფის ტყვეიასავით, გამოვარდა საზოგადოების წინ და დაიწყო ასე:

„პატიოსანნო მამანო! ეუმცა მართალია, რომ ჩვენი ცხოვრება ძრიელ შევიწროებულია სხვა და სხვა გარემოებაებით, მაგრამ ამ ნაირ კეთილ-სასარგებლო მოთხოვნილებაზედ არ შეგვიძლიან უარის თქმა; არ შეგვიძლიან უფრო მისთვის, რომ ჩვენა ვართ მღვდლები და, რასაკვირველია, ცოტათ თუ ბევრათა გვესმის—თუ რა არის სწავლა და მისი ნაყოფი. მაშასადამე, არამც თუ უნდა ეცდილობდეთ მის უკეთურებას და მოსპობას, არამედ კიდეც უნდა ვდევნიდეთ ამ ნაირ უსინდისურ მქცეველ ხალხს. ჩვენ საღმოთო ვალათ გვადევს შვილების აღზრდა; ჩვენ ვართ პირველი მათი ბედნიერების და უბედურების მიზეზნი. აბა მიჰხედეთ დედამიწის ზურგს და დაიწყეთ თუ გინდათ პირუტყვებიდგან ვიდრე კაცამდინ—თუ როგორ ცდილობენ, თავიანთ შვილების აღზრდას! ჩვენ, მღვდლები კი, ამას არ ეფიქრობთ და წავსულვართ ძველ მამა-პაპურ ჭკუაზედ! შესწირეთ რამდენიმე მანეთი თქვენს შვილებს და გაიგეთ, რომ ეგ შეწირული ფული ერთი-ორად, ერთი-ათად გაიზრდება, სარგებლობას მოგვიტანს!“

ამ სიტყვებით გაათავა მღვდელმა და იმედიანის თვალით გადახედა სამღვდელოთ, მაგრამ, როგორც ეტყობოდათ, ამათ გონებას არა მისცხებოდათ-რა. ისინი ისევ თავისას იძახოდნენ: „არ შეგვიძლიან, არა და არა!“ მღვდელი ამ სახით იძულებულ იქმნა დაენებებინა თავი; მაგრამ ახლა ცოტა ხანს შემდეგ წამოდგა თვითონ ისევ ბლაღოჩინი, პირველად უარის გამომცხადებელი, და ჩუმი მოლაპარაკების შემდეგ ერთს თავის მღვდელთან, დაიწყო ამ სიტყვებით: „ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი ჯიბიდგან ფულის მიცემა, ხოლოთ თუ შევსწირამთ ისევ ეკკლესიის ფულს; ის შვიდ-შვიდი მანეთი, რომელიც ხუთის წლობით იყო შეწირული, დარჩეს სამუდამოთ.“ ეს სიტყვა მოეწონათ სამღვდელოთაც და ერთის ხმით შესძახეს: „როგორც ბლაღოჩინმა ბძანა, ისე იყოს!“

აი, ასე გათავდა საბლაღოჩინო ყრილობა ს. ვაქირს.

ბაწკინტელი

უცხო ქვეყნები

ავსტრო-ვენგრია

ავსტრიის ჯარების შეიარაღებაზე აი რას იწერებიან ბელგიურს გაზეთში „Indépendance Belge“-ში ვენიდამ:

„ამას წინეთ რომ მე ავსტრო-ვენგრიის მმართებლობისაგან სხვა და სხვა „სამხედრო ზომების“ მიღებაზე ელაპარაკობდი, დღეს ეს ზომები სისრულეში მოჰყავს ამ მართებლობას. ბაცხარებული მზადებაა სამხედრო ყოველ-გვარი მასალებისა და დალმაციაში და ხორვატიაში მყოფი ჯარების შეიარაღება და გაძლიერება.

ოსმალეთი

სულთანი თავის ძვირფასეულების გიროოთი 50 მილიონ ფრანკს დასესხებია ლონდონის ბანკირებს.

სერბია

ბელგრადიდამ იწერებიან ნემენცურს გაზეთში „Allgemeine Zeitung-ში: „სერბიის სკუპჩინის ოპოზიციურს პარტიას განზრახვა აქვს, რომ ერთს რომელსაც მე მომავალი სხდომებთაგანში შეიტანოს წინადადება, რომელშიაც იმათ ამ ჟამითი მმართებლობის მოქმედება უნდა გაჰკიცხო

— სერბიის მთავარის მილანის პლოეშტი წასვლას სამზღვარ გარეთის გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ. ამბობენ, სხვათა შორის, რომ იქიდამ დაბრუნების შემდეგ, დიდი-დიდი ორი კვირისგანმავალობაშიუეჭველადგარდაწყდებაო. სერბიამუნდა გამოუცხადოს ომი ოსმალოს, თუ ისევ ნეიტრალურს მდგომარეობაში დარჩესო. ოსმალზე გაბაშტერებულ გაზეთებს ძრიელ. ეარაზე. მოსდესთ, რომ სერბია ასე ჰგვიანობს ომის გამოცხადებას. „სერბიის ნეიტრალური მდგომარეობა ერთობ უშლის რუსეთსაო“— ამბობენ ეს გაზეთები.

იტალია

ნემეცური გაზეთი „იტალიელი მოამბე“ გვაცნობებს, რომ მაკ-მაჰონს მიუწერია წიგნი პიო მე-IX-სათვის, რომელშიაც ის დიდის კმაყოფილებით უცხადებს „წმიდა მამას“, რომ მიიღებს მისგან ნაბოძებს ორდენს (პიო მე-IX ორდენს) და თან უმადლის ამისთანა ყურადღებისა და პატივის ცემისათვის.

— 15-ს ივნისს რომში კონსისტორია ყოფილა, რომელზედაც პიო მე-IX-ს ჩვეულებრივის ცერემონიით არჩეული ეპისკოპოზებისათვის კარდინალობის—ღირსება უბოძებია,—ასე რომ ამ ჟამად სრულის კარდინალების რიცხვი (65 უნდა იყოს) მხოლოდ ხუთი კარდინალი აკლია. ამ 65 კარლინალში 40—იტალიელია და 25 სხვა და სხვა ტომის ხალხებისა.—სხვათა შორის, არხიეპიზკოპოზს დიუპანლუს (საფრანგეთში) ბევრი ცდა და ჯაფა გაუწევია, მაგრამ პაპას მაინც არ გაუხდია ის ღირსად კარდინალის ქუდის დახურვისა.

საფრანგეთი

ნემეცურს „ქელნის გაზეთში“ იწერებიან პარიჟიდამ, რომ მინისტრების კაბინეთს ჯერ არაგვარი გარდაწყვეტილება არ მიუღია მომავალ ამორჩევების შესახებ; თავათ მინისტრები ვერ შეთანხმებულან ჯერ ამის თაობაზედაო: ბროჰლის, ჟალჰოს, ბერტოს, პარის და დეკაზს უნდათ, რომ ამორჩევები რაც შეიძლება მალე დაინიშნოს. კაბინეთში მყოფთ ბონაპარტისტებს და ამათს შორის ფურტუს კი უნდათ, რომ ამორჩევები დიდხანს გადიდოს იმ განზრახვით, რომ იმათგან დანიშნულმა პრეფექტებმა მანამდისინ მოასწრონ პროვინციებში ხალხის მომზადება მათი განზრახვის აღსასრულებლად.

— 16 მაისის კაბინეთისაგან დანიშნული პრეფექტები, როგორც სამზღვარ გარეთის გაზეთები გვარწმუნებენ, ერთობ ავიწროებენ თავიანთ დეპარტამენტში ხალხის რესპუბლიკურს მიმართულებას: მაგ. ბორდოს პრეფექტს გაზეთების გამსყიდველთათვის აღუკრძალავს რესპუბლიკური გაზეთების გაყიდვა; საეკლესიის დეპარტამენტის პრეფექტს კი ამგვარსავე ბრძანებასთან ის ბრძანებაც გამოუცია, რომ რესპუბლიკური პარტიის დეპუტატებს მოუსპონ თავის ამომრჩეველებთან მიწერ-მოწერის საშუალება.

КАВКАСИИС САБЕБИО ИНСТИТУТИ

Шобиаре ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარ-ბები უფასოთ მიიღებიან.

Цалкე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

Ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ — დოქტორი �анови.

Ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი Ремерти.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12 მდინ — დოქტორი Альбанусъ.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი Ушаშაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა. Ремертисъ, Альбанусъ და Анановъ

Институтთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. Ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში — 1 მანეთი.

ТФИЛИСИС САМКУРНАЛО

(4-ს აპრილის სახსოვრად)

Ერევნის მაედანზე, Винамдзღვარის სახლებში.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დღისვე 10 საათამდინ.

Ортшабатъ: ექიმი Минкевичи — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, Барадевичи და Лисицеви — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

Самшабатъ: Ермишевъ და Маркаровъ — შინაგანი ავათმყოფობისათვის, Тамамшевъ — თვალის ექიმი.

Ортшабатъ: Лисицеви — შინაგანი ავათმყოფ., Жиучарианци — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

Хутшабатъ: Ермишевъ — შინაგან ავათმყოფობისათვის.

Параскевъ: Лисицеви და Асатуровъ — შინაგანი ავათმყოფობისათვის და Минкевичи — ხირურგიულისთვის.

Шабатъ: Ермишевъ და Маркаровъ — შინაგანი ავათმყოფ., Жиучарианци — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და Тамамшевъ — თვალის ავათმყოფობისა.

ГАНЦХАДЕБАНИ

ИСУИДЕБА ქვემო-მოყვანილი ქართული წიგნები:

1) Ერთი წლის „საქართველოს მოამბე“ ყდაში, 2) Географія საქართველოსი მეფე Вахушტისა, 3) Миწერ-მოწერა ქართველთ მეფეებისა Русეთის ხელმწიფეებთანა, 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული Словарი, 5) ძველიألفთქმა, ვენეციაში დაბეჭდილი 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული Словарი, 7) Калмасობ-Иоანე Батонიშვილისა, და Платонъ Иосელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „Цискари“ დაარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

ФАСИС ვაგება Ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე Тифлисის ქალაქის Замгеობას, 3 ივნისს 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმეოეის საზოგადოებისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

Ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, Александровის სახლში სასულიერო Семинარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

Უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. Ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. Ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

Мироჯარადრე Стефанъ Довлათბეგოვი

„КЕКЕТИ“

Сარძეო სარდაფს „КЕКЕТИ“, ყოველ დღე ისყიდება: Карахи, Наеби, Метана, Творогъ, Уველი, Удуღარი და Адуღებული Рძе და Маწონი. —

Ამ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩუქებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

Сარძეო სარდაფი „КЕКЕТИ“ იმყოფება: Сასახლის ქუჩაზე, Мუზეუმის პირდაპირ, Шაბურეოვის სახლებში, სადაც უწინ Ивანოვის ბიბლიოთეკა იყო.

რკ. გზა.	ديلا.		سلام.		II კ.		III კ.	
Тфილისი	9	21	5	18				
Мцხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
Гори	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
Სურამი	1	44			4	42	2	46
Квирила	5	49			5	81	3	23
Рიონი	6	47			6	75	3	75
Самтредია	7	41			7	73	4	29
Зест.-სენაკი	—	—			8	57	4	76
Poти	9	40			9	75	5	42
Poти	9	13						
Зест.-სენაკი	—	—			1	18	-	66
Самтредია	11	16			2	6	1	14
Рიონი	12	13			3	4	1	69
Квирила	1	18	ღამე		3	98	2	21
Сурами	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
Гори	7	5	4	8	7	36	4	9
Мцხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
Тфილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ТЕЛЕГРАФИ

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Поთს	1	—
Ბორს, Დუშეთს, Სიღნაღს	-	50
Როსტოვს, Ოდესას, Მოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, Варшавას	2	—
Ოსმალეთში, Შეეიცარიაში	3	—
Იტალიაში და Საფრანგეთში	3	50
Ინგლისში	3	75

ФОСТА

ა) Თფილისიდამ: Самხეთარ გარეთ, ქუთაისს, Русეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. Зუგდ. ორშ. და Самშ. Ოზურ. — Парасკ. და ორშ. Ქახეთს — Самშ. და Შაბ. ბ) ქუთაისიდამ: Თფილისისა და Поთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს — ორშ. და Парасკ.

წიგნის გაგზავნა Русეთში	კაპ
და Самხეთარ გარეთ:	
Ღია წიგნის	4
Დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

БИРЖА

Петერბურგი, 26 ივნისს

	მან.	კაპ
Ერთი მანეთი ლირს:		
Лონდონში 3½ პენსი.	—	78
Პარიეში 267 სანტიმი.	—	81
Ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
Ბანკის ბილეთი 5%	94	—
Მოგებიანი (პირველისესხი)	214	25
Მოგებიანი (მეორე ხესხი)	208	25
Бирაოს ფურცლები:		
Თფილ. საახ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½).	83	—
Მოსკოვის (5%).	90	50
Акциები:		
Ოდესის საკაპრო ბანკის	158	—
Поთი-Თფილ. რკინ. გზის	—	—
Შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
Კავკაზის და Მერკურის.	203	—
Პირვ. სახლვევ. საზოგ.	735	50
Პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
Მოსკოვის სახლვევ. საზ.	268	—

МАЗАНДА

	ნან	კაპ.
Თფილისი, 28 ივნისს		
Ფქვ. თეთ. Бანჯისა, უფ.	1	25
Ფქვილი წითელი.	1	—
ქერი ფუთი.	—	70
Ბამბა Მრევნისა, ფუთი	7	—
— Ამერიკისა, ფუთი.	8	50
Გაპენტილი ბამბა ფ.	7	80
Მატყლი თუმური ფ.	6	—
— Მარაქაშისა ფ.	3	80
Აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი.	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
Სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
— ცხვრისა, ლიტრა.	—	72
Სპირტი, გრადუზი	—	12
Მაქარი, Броц. ფუთი	7	80
— ფხვნილი ფუთი.	7	50
Ყავა გრგვალი, ფუთი	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
Ოქრო ½ იმპერიალი.	7	60

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюня 1877 г. Типографія Меликова. ბამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი